

2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2–ის“ დაკვეთით ტარდება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რომელსაც ახორციელებს საერთაშორისო კომპანია Edison Research (www.edisonresearch.com).

Edison Research არის ავტორიტეტული და მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე ორგანიზაცია, რომელიც იცავს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმებს. ამ მიზნით, AAPOR (American Association of Public Opinion Researchers)-ის ეთიკის სტანდარტების დაცვითა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

1. **დამკვეთი**– შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ (ს/კ:211352016), მისამართი: სანდრო ეულის ქ.5ა, თბილისი, 0186, საქართველო.
2. **კვლევა ფასიანია თუ უფასო**– კვლევაში მონაწილე რესპონდენტები არ იხდიან რაიმე სახის საფასურს და გამოკითხვა არის უფასო. კვლევას, სახელმეკრულებო თანხის სანაცვლოდ (ფასით) ახორციელებს Edison Research, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“ დაკვეთით.
3. **ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა კვლევა**- სახელწოდება ოფიციალური რეგისტრაციის მიხედვით: Edison Media Research, Inc; მისამართი: 6 ვესტ კლიფ ქუჩა, სამერვილ, ნიუ ჯერსი 08876, ამერიკის შეერთებული შტატები.
4. **კვლევის ჩატარების დრო**–22.09.2017- 02.10.2017.
5. **გამოკითხვის მეთოდი**- პირდაპირი გამოკითხვის გზით; CAPI (Computer Assisted Personal Interview-პერსონალური ინტერვიუ კომპიუტერის დახმარებით) რესპონდენტთან სახლში, „ბოლო დაბადების დღის“ მეთოდის პრინციპის გამოყენებით (Last birthday respondent selection method).
6. **გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანმიმდევრობა:**
 - მიიღეთ თუ არა მონაწილეობა 2016 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში? (ზაზა: 1200 რესპონდენტი)
 - მიიღეთ თუ არა მონაწილეობა 2014 წლის თბილისის მერის არჩევნებში? (ზაზა: 1200 რესპონდენტი)
 - თბილისის მერის მოახლოებულ არჩევნებზე რომ იფიქროთ, რამდენად სავარაუდოა, რომ მონაწილეობას მიიღებთ ამ არჩევნებში? (ზაზა: 1200 რესპონდენტი)
 - მერის არჩევნები დღეს რომ ჩატარდეს, ვის მისცემდით ხმას? (ზაზა: 1200 რესპონდენტი)
 - იმისდა მიუხედავად, ვისთვის აპირებთ ხმის მიცემას, მერობის რომელი კანდიდატისთვის არ განიხილავდით არასდროს ხმის მიცემას, ნებისმიერი გარემოების მიუხედავად, მაშინაც კი, თქვენი რჩეული კანდიდატი რომ არ იღებდეს თბილისის მერის არჩევნებში მონაწილეობას? (ზაზა: 1200 რესპონდენტი)
 - საკრებულოს არჩევნები დღეს რომ ტარდებოდეს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას?(ზაზა: 1200 რესპონდენტი)
 - რომელი პოლიტიკური პარტიისთვის არ განიხილავდით არასდროს ხმის მიცემას საკრებულოს არჩევნებში, ნებისმიერი გარემოების მიუხედავად? (ზაზა:1200 რესპონდენტი)
 - რამდენად მოგწონთ ან არ მოგწონთ ის, თუ როგორ ართმევს თავს დავით ნარმანია თბილისის მერობას?(ზაზა: 1200 რესპონდენტი)
 - გაიხსენეთ ის დრო, როდესაც თბილისის მერი იყო გიგი უგულავა. რამდენად მოგწონთ ან არ მოგწონთ ის, თუ როგორ ართმევდა თავს გიგი უგულავა ქალაქის მერობას?(ზაზა: 1200 რესპონდენტი)
 - თქვენი აზრით, მოსალოდნელია თბილისის მერის მოახლოებული არჩევნების მეორე ტურის გამართვა?(ზაზა: 1200 რესპონდენტი)

- თქვენი აზრით, რომელი ორი კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას თბილისის მერის არჩევნების მეორე ტურში? (ბაზა: რესპონდენტები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მოსალოდნელია თბილისის მერის არჩევნების მეორე ტური; 806 რესპონდენტი)
 - ზოგადად, როგორ ფიქრობთ, ჩვენი ქვეყანა სწორი მიმართულებით მიდის თუ არასწორი მიმართულებით? (ბაზა: 1200 რესპონდენტი)
7. შესაძლო ცდომილების ფარგლები– შესაძლო ცდომილება +/-3 %, 95%-იანი სანდოობის დონისათვის.
 8. კვლევაში წარმოდგენილი პოპულაცია/კატეგორია: თბილისის მოსახლეობა, რომელთაც აქვთ თბილისში არჩევნებში მონაწილეობის უფლება, არიან 18 წლის ან მეტის.
 9. შერჩევის არეალი-თბილისი
 10. შერჩევის ზომა: 1200.
 11. შერჩევის ტიპი: შემთხვევითი შერჩევა (თბილისში არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე ყველა ადამიანს აქვს თანაბარი შანსი, რომ მოხვდეს შერჩევაში)
 12. მოხდა თუ არა მონაცემების შეწონვა: დიახ, 2016 წლის სენსუსის მონაცემების (2016 წელს გამოქვეყნებული თბილისის მოსახლეობის ოფიციალური აღწერის სტატისტიკური მონაცემების) მიხედვით, სქესის, ასაკის და ადმინისტრაციული უბნის პარამეტრებით.
 13. კვლევაში გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი: 1200 რესპონდენტი, 18+ წლის თბილისის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შერჩეული რესპონდენტები; რესპონდენტების შერჩევა ბოლო დაბადების დღის მეთოდით. პერსონალური ინტერვიუ ჩატარებულია რესპონდენტთან სახლში.
 14. ეფუძნება თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს- შედეგები ემყარება რესპონდენტების პასუხებს კითხვარებზე, რომელიც გამოიზრუნა ასახოს კვლევაში მონაწილე თითოეული რესპონდენტის მიერ გაკეთებული არჩევანი კონკრეტულ საკითხებზე. მონაცემთა ფაილი მოიცავს ყველა რესპონდენტის მოსაზრებას, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კვლევაში. რუსთავი 2 ყველა გამოქვეყნებული კითხვის რესპონდენტთა ბაზას მიუთითებს.
 15. იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უარი განაცხადეს გამოკითხვაში მონაწილეობაზე, არ გასცეს კითხვას პასუხი ან რომელთა გამოკითხვაც ვერ მოხერხდა.

	რაოდენობა
არავინ ცხოვრობს სახლში	141
არავინ გააღო კარი, არავინ იყო სახლში	89
პიროვნება რომელთანაც განხორციელდა კონტაქტი უარს ამბობს თანამშრომლობაზე	211
ბოლო დაბადების დღის პრინციპით შერჩეული რესპონდენტი არ იყო სახლში	56
შერჩეული რესპონდენტი უარს ამბობს ინტერვიუზე	46
რესპონდენტს არ შეუძლია პასუხის გაცემა (არის ავად, მთვრალი და ა.შ)	16
შერჩეული რესპონდენტი ყოველდღიურად ბრუნდება ძალიან გვიან სახლში და შეუძლებელია მასთან ინტერვიუს ჩატარება	45
სხვა მიზეზი	60
წარმატებული ინტერვიუ	1,200
ჯამი	1,864

16. ინფორმაცია სხვა ნებისმიერი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შედეგებზე- მონაცემები ეფუძნება 22.09.2017- 02.10.2017 თბილისის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე 18+ წლის შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გამოკითხულ 1200 რესპონდენტთა აზრს.
17. დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: info@edisonresearch.com.
www.edisonresearch.com